პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
კვირა
4
ნოემბერი
№ 254
(17599)
ფასი 2 კაპ.

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრ იდეურ იარაღს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

კარტოფილის ცვლები და გარაქა

ახალქალაქის რაიონის ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობაში მასობრივად იღებენ კარტოფილის მოსავალს. აქ 870 ჰექტარზე ჩინებული მოსავალი მოიწიეს, წელს საბჭოთა მეურნეობის მეკარტოფილეები სახელმწიფოს ჩააბარებენ 4.000 ტონა კარტოფილს, რაც გეგმით გათვალისწინებულს 2.800 ტონით აღემატება.

●

სურათებზე: ზემოთ — კარტოფილის მოსავლის აღება მე-12 ბრიგადაში; კარტოფილის მექანიზებული აღება ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობის მე-13 ბრიგადის ნაკვეთზე.

ვ. ჩერკასოვის ფოტო.

ჩვენს ქვეყანაში

დიდი ოქტომბრის შესახვედრად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

მეცხოველეობის მეგზი პროდუქცია!

1979 წლის ცხრა თვეში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და 1979 წლის ცხრა თვეში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შეჯიბრებში გამარჯვებულად ცნეს:

I ზონაში

გარდაბნის რაიონი	პირველი ადგილი
თელავის რაიონი	მეორე ადგილი

მესამე ადგილი არაგის მიენიჭა.

II ზონაში

მცხეთის რაიონი	პირველი ადგილი
ლენინგორის რაიონი	მეორე ადგილი
ბოლნისის რაიონი	მესამე ადგილი

III ზონაში

ასპინძის რაიონი	პირველი ადგილი
ახალციხის რაიონი	მეორე ადგილი
დმანისის რაიონი	მესამე ადგილი

IV ზონაში

ცაგერის რაიონი	პირველი ადგილი
ლენტეხის რაიონი	მეორე ადგილი
მესტიის რაიონი	მესამე ადგილი

V ზონაში

მაიაკოვსკის რაიონი	პირველი ადგილი
თერჯოლის რაიონი	მეორე ადგილი
წულუკიძის რაიონი	მესამე ადგილი

VI ზონაში

გეგეჭკორის რაიონი	პირველი ადგილი
ჩხოროწყუს რაიონი	მეორე ადგილი
ცხაკაიას რაიონი	მესამე ადგილი

VII ზონაში

ქალაქ გაგრის ზონა	პირველი ადგილი
გალის რაიონი	მეორე ადგილი
გულრიფშის რაიონი	მესამე ადგილი

გამარჯვებულებს წაახალისებენ. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მარცვლეულის წარმოების გადიდების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში ყაზახეთის სსრ მშრომელთა მიერ მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისა და 1979 წელს სახელმწიფოსათვის 1 მილიარდ 250 მილიონი ფუთი პურის მიყიდვისათვის ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1979 წლის 1 ნოემბერი.

...ური-საშუალოს!

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოების მუშაკებს, ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ყაზახეთის სსრ მშრომელებმა თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს — წელს მოიწიეს მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი, ადგილობრივ ბაზებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის სასურსათო რესურსებში.

საბჭოთა ყაზახეთის მატანიში 1979 წელი განსაკუთრებით ღირსსახსოვარია. ფურცლად შევა. სამშობლოს ბელლებში დაბინავებულია 1 მილიარდ 250 მილიონი ფუთი მაღალხარისხოვანი მარცვლეული, მათ შორის მილიარდი ფუთი ხორბალი. ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების, ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა, ყველა მშრომელის თავდადებული შრომის, რესპუბლიკის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების დიდი ზანდასახული ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგია. ამ მიღწევებით კიდევ ერთხელ გამოვლინდა ყაზახების ძალა. პარტიის ნებით, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომით ყაზახეთში შეიქმნა სასაქონლო მარცვლეულის წარმოების ... ბაზა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მზურვალედ და გულითადად ულოცავს დიდ შრომითს გამარჯვებას ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობების მუშებს, კოლმეურნეებს, მექანიზატორებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, მეცნიერებს, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკებს, სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო ორგანიზაციების, სასწავლებლების კოლექტივებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები სახელმწიფოს ... დახმარებაზე, მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით კვლავაც მთელი სიმტკიცით იბრძოლებენ ყაზახეთის ყანის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მეცხოველეობის ... ჩარებული განვითარებისათვის, თითოეული ჰექტარი მიწისა და ... ულად შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალის ეფექ... ანი გამოყენებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ყაზახეთის სსრ მშრომელებს უსურვებს პირნათლად შეასრულებინოთ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ... ენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, დაეპყროთ ახალი მიჯნები ხუთწლედის დამამთავრებელ ... ელს, ღირსეული წვლილი შეიტანოთ ხალხის კეთილდღეობის შემ... ომი გაუმჯობესებისა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

ლ. ბრეჟნევი,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

მოსკოვი დღეს. რუსეთის სფსრ საბჭოების სახლი და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შენობა.

ვ. კოშევოის ფოტო (საკადრისი ფოტოქრონიკა).

...ვეგმაც, ...ვალდებულებაც

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში დიდი კმაყოფილებით შეიტყვეს, რომ აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, 1979 წელს დიდ შრომითს გამარჯვებას მიაღწიეს, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხამი ბამბის, ყურძნის, ... ოტენუელის, ბაღჩეულის, კარტოფილის, ჩაის ფოთლისა და აბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. წარმატებით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს რესპუბლიკის მეცხოველეები.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა კარგ ტრადიციად იქცა სოციალისტური ვალდებულებების ყოველწლიურად მთლიანი და გადაჭარბებით შესრულება, რამაც მათ საშუალება მისცა ოთხ წელიწადში განეხორციელებინათ მარცვლეულის, ბოსტნეულისა და ბოლის დამზადების ხუთწლიანი გეგმა. კარგი მარაგებიდან შეიქმნა ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დარგშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ამ სახელოვან შრომითს მიღწევებს მაღალ ... ფასებს ულოცავს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, დამამზადებელი ორგანოების მუშაკებს, სამრეწველო, სატრანსპორტო და ... ...

პროპაგანდისტთა V რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა

მიმართვა

საქართველოს ყველა პროპაგანდისტს

(დასასრული)

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ჩვენ, საქართველოს პროპაგანდისტთა V რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს, ყოველი პროპაგანდისტის მთავარ ამოცანად ის მივგვიჩნია, რომ:

— დაიცვას და ამაღლოს ყოველივე დადებითი, რაც მიღწეულია მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების საქმეში. მთელი სიღრმით, გასაგები ენით განუმარტოს მასებს ჩვენი ლენინური პარტიის იდეები;

— სწავლულ საზოგადოებათმცოდნეთა მეცნიერული ძიების შედეგებზე დაყრდნობით ყოველნაირად ამაღლოს პროპაგანდისტული მუშაობის მეცნიერულობა, მიაღწიოს მშრომელთა მიერ პარტიის თეორიისა და პოლიტიკის აქტუალური საკითხების უფრო ღრმა და ყოველმხრივ გაგებას, გაფართოოს მათი თვალთახედვა, აამაღლოს პოლიტიკური კულტურა;

— გადაჭრით აღმოფხვრას ფორმალიზმი, მედავთნეობა, სწავლებისადმი ვიწროტილიტარული მიდგომა, შტამპები და მოჩვენებითი მეცნიერულობა, ანბანურ ჭეშმარიტებათა მექანიკური გაღრმავება, დაძლიოს ცოდნის პროპაგანდის საინფორმაციო-კონსულტაციური მეთოდი, როდესაც მსმენელი მეცადინეობის პასიური მონაწილეა;

— მიაღწიოს პროპაგანდის ქმედითობას, კონკრეტულობას, ეფექტიანობას, შტეკვით სულისკვეთებას, ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი და გაავრცელოს მეცადინეობის ჩატარების პრობლემურ-სორიენტაციო მეთოდი, რომლის დროს თეორიის შესწავლა ემსახურება სახალხო მეურნეობისათვის, დარგის, კონკრეტული კოლექტივისა და მუშაკისათვის ყველაზე აქტუალური, საარსებო პრობლემების გააზრებას;

— კიდევ უფრო განვითაროს მოძრაობა „პროპაგანდისტი — ხუთწლედს“, მთელი ძალ-ღონე მოახმაროს ყოველ შრომით კოლექტივში შემოქმედების, ახლის და პროგრესულის გაბედული ძიების ატმოსფეროს შექმნას; ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის განვითარებას, მისი აღმზრდელობითი ზეგავლენის გაძლიერებას, აქტიურად შეიჭრას ცხოვრებაში, კოლექტივების წინაშე მდგომი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში, იცადოს, რომ ყოველი მეცადინეობა, ჯერ ერთი, მჭიდროდ უკავშირდებოდეს პრაქტიკას, უპასუხებდეს ცხოვრების მიერ ყოველდღიურად წამოჭრილ საკითხებს, მეორე, მაქსიმალურად უწყობდეს ხელს იმას, რომ ლენინგი — „ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ“ თითოეული მუშის, კოლმეურნის, სპეციალისტის პრაქტიკულ საქმედ იქცეს, და ამის საფუძველზე დარაზმოს მსმენელები მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპის პასუხსაგები გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთვის, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების ღირსეული შეხვედრისათვის.

— ცოცხლად და გასაგებად გააშუქოს, პროპაგანდა გაუწიოს ცალკეულ მოწინავეთა და ნოვატორთა, მთელი შრომითი კოლექტივების საუკეთესო მიღწევებს, თაოსნობასა და ინიციატივებს, რომლებიც მოწონებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. ამასთან ეს გამოცდილება, ეს ინიციატივები უჩვენოს ისე, რომ დაიინტერესოს ყველა მსმენელი, დაეხმაროს პრაქტიკაში მათს ფართოდ გავრცელებას;

— აქტიურად ჩააბას მსმენელები ყოველივე იმ ნეგატიურის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, გადაჭრით დაძლიოს მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივები, ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის ყოველი გამოვლინება, წარსულის მავნე გავლენები და გადმონაშთები.

— მსმენელთა მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პარტიის პოლიტიკის საფუძვლიანი შესწავლა და გაგრძება შეუხამოს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მათს აღზრდას, შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრში მაღალი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებას.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთვისათვის რომ ვემზადებით, ჩვენ უნდა შევქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ კომუნისტები, ყველა მშრომელი უფრო ფართოდ ეზიაროს ლენინური იდეების სიმდიდრეს, ლენინის მეცნიერულ მეკვიდრეობას.

ჩვენი ვალია უზრუნველვყოთ დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ფართო განმარტება და ღრმა შესწავლა. ჩვენი ძალები უნდა მოვახმაროთ სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლში ორგანიზებულობისა და შეთანხმებულობის ამაღლებას, მეცნიერულ საფუძველზე შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომის, საწარმოო, საფინანსო, სახელშეკრულებო დისციპლინის განუხრელ განმტკიცებას.

როცა მსმენელებს ვეხმარებით მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლებაში, პარტიის პოლიტიკის ნათლად გაგებაში, ჩვენ მოწოდებული ვართ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი მათში აქტიურ მებრძოლთა თვისებების გამოშუშავებას, რომელთაც უნარი შესწევთ საქმით განახორციელონ პარტიის პოლიტიკა, დაიცვან კომუნისტური იდეოლოგიის პრინციპები.

ჩვენი დევიზია სიტყვისა და საქმის, შემეცნებითი და პრაქტიკული საქმიანობის ერთიანობა, ყველაფერში პირადი მაგალითი.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ყველა პროპაგანდისტს კვლავაც იყვნენ მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის პირველ რიგებში; იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისას ფართოდ და კომპეტენტურად გამოიყენონ ცოდნის პროპაგანდის მეცნიერული მეთოდები სწავლების შინაარსის გაუმჯობესებისა და ქმედითობის ამაღლებისათვის; უფრო სრულად გამოიყენონ შეძენილი გამოცდილება, სრულყონ თავიანთი ოსტატობა; მთელი ძალები, ნიჭი და ცოდნა მოახმაროონ მშრომელთა დარაზმვას მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთვის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

საქართველოს პროპაგანდისტთა V რესპუბლიკური შეკრება

სიმართლის მძლავრი იარაღი

საქართველოს პროპაგანდისტთა მეხუთე რესპუბლიკურმა შეკრებამ ნათლად „ცხადყო იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ერთიანობა და შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მათი მისწრაფება ემსახურონ საშობლოს, ხალხის ინტერესებს, თავიანთი ცოდნა, იდეური მრწამსი, ორგანიზატორული ნიჭი მოახმარონ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

შეკრებამ ცხადყო, რომ პროპაგანდისტებს, მთელ იდეოლოგიურ აქტივს არა აქვთ იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ პარტიის სიტყვა გააცნონ ყოველ მშრომელს, ჩვენი საზოგადოების ყოველ წევრს, დარაზმონ ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის დავალებათა უთუოდ შესრულებისათვის.

ჩვენს ლენინურ პარტიას, აღინიშნა შეკრებაზე, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა სამართლიანად მიაჩნია კომუნიზმისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ფრონტად. თითოეული ჩვენგანი მოწმეა იმ უდიდესი ზრუნვისა, რომელსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი იჩენენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებისადმი, მასების კომუნისტური აღზრდისადმი. ამას მჭევრმეტყველურად ადასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის იდეურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ისტორიული დოკუმენტი იდეოლოგიისა და პროპაგანდის, ადამიანის აღზრდის დარგში პარტიის მოღვაწეობის შთამაგონებელი გრძელვადიანი პროგრამაა. მან მოაზდინა და კვლავაც დიდხანს მოახდენს სასიკეთო გავლენას იდეოლოგიური მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებაზე, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფაზე.

პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“, „მშრომელთა ეკონომიკური განათლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილებებით, თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებით, ცდილობენ უზრუნველყონ პარტიის თეორიისა და პოლიტიკის შესწავლა მათ ორგანულ ერთიანობაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში, და მიღებული ცოდნა გადაამეტონ აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად.

დადებითი ძვრები შეიმჩნევა კადრების ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციაში. „მშრომელთა ეკონომიკური განათლების გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის იდეურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ისტორიული დოკუმენტი იდეოლოგიისა და პროპაგანდის, ადამიანის აღზრდის დარგში პარტიის მოღვაწეობის შთამაგონებელი გრძელვადიანი პროგრამაა. მან მოაზდინა და კვლავაც დიდხანს მოახდენს სასიკეთო გავლენას იდეოლოგიური მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებაზე, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფაზე.

პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“, „მშრომელთა ეკონომიკური განათლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილებებით, თბილისის საქალაქო კომიტეტისა ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, კომუნისტთა, ყველა მშრომელის შემოქმედებითი შესაძლებლობების სრული გამოვლენისათვის პირობების შექმნის შედეგია.

და რესპუბლიკის მშრომელთა ყველა სახელოვან საქმეში არის პროპაგანდისტთა, იდეოლოგიურ მუშაკთა უანგარო, კეთილშობილური შრომის წილიც, რომლებიც არა მარტო განმარტავენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და პარტიის პოლიტიკას, არამედ არიან პარტიის მიერ დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის ორგანიზატორებიც.

მაგრამ, ხაზგასმით აღინიშნეს შეკრების მონაწილეებმა, როცა ჯეროვნად ვაფასებთ წარმატებებს, უნდა დავინახოთ, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრი არსებითი ნაკლი და ხარვეზია.

მეცადინეობაზე ზოგჯერ საკმარისი ყურადღება არ ეთმობა რევოლუციური თეორიის ფუძემდებელი ცნებების,მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიური დასკვნების გაშუქებას, ღრმად არ აანალიზებენ ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, სულიერი განვითარების პროცესებს, არ ითვალისწინებენ მათ დინამიკურობას, საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიური ბრძოლის სიმწვავეს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების გაუმჯობესებისათვის, პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისათვის, სწავლების, სწორი სპეციალიზაციისა და რეზერვის შექმნისათვის, გულმოდგინე ყოველდღიური მუშაობის ნაცვლად იდგებიან უმცირესი წინააღმდეგობის გზას: ცდილობენ უზრუნველყონ უბადალებული „ჩაბმა“, შეადგინონ გარეგნულად შთამბეჭდავი ანგარიში და ამით შექმნან პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ფართო გაქანების სურათი.

სუსტად გამოიყურება ზოგიერთი რესპუბლიკური სამინისტროსა და უწყების მუშაობაც მშრომელთა ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის დარგში. ცუდად მუშაობენ, მაგალითად, ვაჭრობის, მშენებლობის, სახანო-კომუნალური მეურნეობის, საავტომობილო გზების, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, დამზადების სამინისტროებთან არსებული მშრომელთა ეკონომიკური განათლების საბჭოები. აქ სჯერდებიან რამდენიმე ათეული პროპაგანდისტის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გაგზავნასა და თათბირების ჩატარებას.

შეკრებაზე დიდი ყურადღება დაუთმეს ადამიანების მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების რთული და პასუხსაგები პროცესის მთავარ ფიგურას — პროპაგანდისტს, რომლის ცოდნაზე, პედაგოგიურ ოსტატობაზე არის უმთავრესად დამოკიდებული მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა.

ჭეშმარიტი პროპაგანდისტები, ხორციელების, ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, კომუნისტთა, ყველა მშრომელის შემოქმედებითი შესაძლებლობების სრული გამოვლენისათვის პირობების შექმნის შედეგია.

ასეთი კი ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია, მომთხოვნი ორ-ან საკუთარი თავისადმი, ყველა ღონე მორალური თვისებები, მაღალი პარტიულობა [illegible] ლობის გრძნობა თავიანთ [illegible] გადოებრივი მუშაობისათვის, ბევრ ძალ-ღონეს და დროს ახმარენ მეცადინეობისათვის მომზადებას, დაუცხრომლად სრულყოფენ მეთოდიკურ ოსტატობას, ცდილობენ სისტემატურად აიმაღლონ იდეურ-თეორიული და კულტურული დონე. ისინი კარგად იცნობენ მსმენელებს, მათი მუშაობის პირობებს და სიტყვითა და საქმით ეხმარებიან მათ ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებაში, დადებით ზეგავლენას ახდენენ მათი შრომითი და შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებაზე. ასეთი პროპაგანდისტები მსმენელთა შორის დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობენ. ნაყოფიერი პროპაგანდისტული საქმიანობის ნიმუშს აჩვენებენ, მაგალითად, ა. ვაშაკიძე, მ. დოლიძე, ბ. ნანი (თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“), ა. შაბანოვი (ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო), გ. ხატიაშვილი (დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა) ,რ. ტაბიძე („საქორგგაზიდან“), ზ. ბელქანია და ს. მანდრიკინი (თბილისის ავიოსაწარმო), ლ. რაბაია (სოხუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყო“), ბ. ზასლავსკი და ბ. მუმლაძე (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა), რ. მაზიაშვილი (წნორის პროდუქტების საწარმოო კომბინატი), გ. გურაშვილი („იორწყალმშენის“ ტრესტი), მ. ეზუგბაია (ბლის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა „ბუიური“), დ. სიხარულიძე (სოხუმის სამკერვალო ფაბრიკა), ვ. სხილაძე (ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა), ვ. ჯანელიძე (საქართველოს საზღვაო სანაოსნო), ი. ოსიპენკო (ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა), ფ. გაგლოიეი (ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“), ა. ბახუტაშვილი (ქუთაისის სამკერვალო ტაოლინანება „გელათი“), კ. ქარცივაძე (მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა) და სხვები.

ყველა პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა განაზოგადოს და გაავრცელოს საუკეთესოთა გამოცდილება, დღენიადაგ იზრუნონ პროპაგანდისტებისათვის ქმედითი, თეორიული და პრაქტიკული დახმარების გასაწევად, ხაზგასმით აღინიშნა შეკრებაზე.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობაში ყველა რანგის ხელმძღვანელთა ჩაბმას, გამუდმებით ზრუნავენ ხელმძღვანელი კადრების თეორიული ცოდნის ამაღლებისათვის, მეთოდიკური და პედაგოგიური ოსტატობის გაღრმავებისათვის.

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მეორე წელია ნაყოფიერად მუშაობს კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი სემინარ-ლექტორიუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე. სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობებზე — ოქტომბრის ამაღლებას, მისი შინაარსის გაღრმავებას, მისი ენობრივად, უწყობლობის გრძნობა [illegible] ცენტრალური კომიტეტის, [illegible] კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, ჩვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერების [illegible] მოსასლეები, რომლებიც [illegible] ტრალიციული გახდა.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში დაინერგა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის სკოლების, სემინარების მუშაობაში ხელმძღვანელი მუშაკების შეალპროპაგანდისტებად მონაწილეობის ასეული ფორმა, რომელმაც სრულიად საკავშირო აღიარება მოიპოვა. ამ იდეოლოგიურ თაოსნობას დასაბამი მისცა ამხ. ე. ა. შევარდნაძის, როგორც პროპაგანდისტის, გამოსვლამ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ერთ-ერთი პოლიტსკოლის მეცადინეობაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელიც ყველა კატეგორიისა და რანგის ხელმძღვანელებს ავალებს შეფობა იკისონ ცალკეული სკოლებისა და სემინარებისადმი, რეგულარულად გააშუქონ მსმენელებს წინაშე პარტიის პოლიტიკის აქტუალური საკითხები, რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის, რაიონის, კონკრეტული დარგის, საწარმოს საარსებო ამოცანები, იზრუნონ მსმენელთა შრომითი და სოციალური აქტივობის ზრდისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა მოიწონა ეს ახალი ფორმა და სასარგებლოდ ცნო. იგი მასებთან იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში ხელმძღვანელთა მონაწილეობის შემდგომი გაფართოებისათვის.

შეკრებაზე ითქვა, რომ მომწიფდა საჭიროება რესპუბლიკაში შეიქმნას პროპაგანდისტული დიდების მუზეუმი, რომელიც ასახავს საქართველოს კომუნისტურ პარტიაში პროპაგანდისტული მოძრაობის ისტორიას, თანამედროვე პირობებში პროპაგანდისტთა მოღვაწეობის მოწინავე გამოცდილებას.

დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიება, მეცნიერული მეთოდების ფართო და უნარიანი გამოყენება, ყველა რგოლში, ყველა დონეზე იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში უნდა მივიჩნიოთ იმის უმნიშვნელოვანეს წანამძღვრად, რომ წარმატებით განვახორციელოთ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, განუხრელად ავამაღლოთ მშრომელთა ინიციატივა და აქტივობა მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპის გეგმების შესრულებაში, უზრუნველყოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთვის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრა.

(საქინფორმი).

ᲩᲘᲚᲓᲝ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

თანამედროვე ქართული ზეპირი ხალხური პოეტური შემოქმედების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვახუშტი ვახტანგის ძე **კოტე**ლობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ. ტელევიზიაში შეიქმნა ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია, რომელიც ამ ენთუზიასტთა აქტიური მონწილეობით სისტემატურად და ენერგიული მრავალფეროვნებით აშუქებს ჩვენი ერის სულიერი კულტურის მონაპოვარს, სამსჯავროზე გამოაქვს პრობლემური საკითხები...

ახლა მთელ საქართველოში იმართება ხალხური პოეზიის საღამოები, ეწყობა თვითნასწავლ მხატვართა გამოფენები, აღორძინდა ბევრი მივიწყებული ხელობა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ხალხის ეროვნული საუნჯის უპირველესი მზრუნველი და მოამაგე ჩვენი შშობლიური პარტია და მთავრობაა.

ხალხში გაბნეულ მარგალიტებს სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებების გარდა ენთუზიასტები აგროვებენ და სამზეოზე გამოაქვთ... ამაგი დაუფასებათ, დაჯილდოვდნენ ასეთი პროპაგანდისტები — პროფესორი ვახუშტი კოტეტიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი ჭინჭარაული, მხატვარი თენგიზ მირზაშვილი.

მათ ინიციატივას დროულად დაუჭირეს მხარი საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი ლეკოს ძე **ჭინჭარაული**, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი თენგიზ რევაზის ძე **მირზაშვილი** დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲘᲜᲢᲔᲠᲙᲝᲡᲛᲝᲡ-20“

მუშაობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად 1979 წლის 1 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „ინტერკოსმოს-20“.

„ინტერკოსმოს-20“-ის თანამგზავრის გაშვების მიზანია მოიძიოს მსოფლიო ოკეანისა და დედამიწის ზედაპირის კომპლექსური შესწავლის მეთოდები, აგრეთვე საზღვაო და სახმელეთო ექსპერიმენტული სადგურებიდან მეცნიერული ინფორმაციის ავტომატური შეგროვების სისტემები.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა და ტელემეტრიული სისტემა მეცნიერული ინფორმაციის შეგროვებისა და გადმოცემისათვის, რომელიც შექმნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტებმა.

ექსპერიმენტის მონაწილე ქვეყნების სპეციალისტები კოსმოდრომზე აწყობდნენ სამეცნიერო აპარატურის გასაშვებად მომზადებას და ახორციელებდნენ მისი მუშაობის მართვას.

თანამგზავრის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

საბჭოთა კავშირის საკომანდო-საზომი კომპლექსის დედამიწისეული სადგურები და ექსპერიმენტის მონაწილე ქვეყნების ტელემეტრიული სისტემის მიმღები პუნქტები უწევიან თანამგზავრიდან მიღებული მეცნიერული ინფორმაციის რეგულარულ მიღებას. (საკდესი).

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲨᲘ

ბეირუთი, 2 ნოემბერი. ლიბანის მემარჯვენე ძალების პროვოკაციული გამოხდომების შედეგად ბეირუთში კვლავ გამწვავდა ვითარება. კონსერვატორთა შეიარაღებულმა ნაწილებმა განვლილ დღე-ღამეში არაერთხელ დაუშინეს ცეცხლი ლიბანში მყოფ მშვიდობის დამცველ არაბულ სახელმწიფოთა ძალების პოზიციებს.

ისრაელის მხედრიონმა, რომელიც იყენებს დაპაბულ ვითარებას ბეირუთში, გააქტიურა პროვოკაციული მოქმედება ლიბანის წინააღმდეგ. ამ ბოლო დღეებში შესამჩნევად გახშირდა ისრაელის ავიაციის სადაზვერვო ფრენა ლიბანის ტერიტორიაზე. გუშინ აგრესორის თვითმფრინავებმა შემოუფრინეს პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებს ბადაუისა და ნაბრალ-ბარდს ქალაქ ტრიპოლის მიდამოებში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

2 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების პლენარული სხდომა. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲠᲔᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მოწვევასთან დაკავშირებით, მოსკოვში მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების სხდომები.

წინასწარ განიხილავენ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმას, 1979 წელს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მსვლელობას, სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, აგრეთვე სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

1980 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამის კარებს სახალხო მეურნეობის დარგების, გეგმისა და ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების, მოკავშირე რესპუბლიკების გეგმებისა და ბიუჯეტების მიხედვით განიხილავენ დეპუტატთა ერთობლივ მოსამზადებელ კომისიებში.

ნოემბრის დამლევისათვის კომისიები მოამზადებენ დასკვნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსათვის. (საკდესი).

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ



ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი. აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა, რომელიც მოიწვიეს ანგოლის მთავრობის თხოვნით იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ აგრესია მოახდინა ამ სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

უხეშად თელავს რა საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას, და უგულებელყოფს საერთაშორისო გაერთიანების ყველა გადაწყვეტილებას , პრეტორიის რასისტულმა რეჟიმმა მოახდინა მორიგი ბარბაროსული თავდასხმა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებზე, განაცხადა ანგოლის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ელიზიუ დი ფიგეირედუმ.

ე. დი ფიგეირედუმ ხაზი გაუსვა, რომ აფრიკის სამხრეთში აპარტეიდის დანაშაულებრივი რეჟიმის შენარჩუნება, მის მიერ ბრონეული იარაღის ხელში ჩაგდება იმ გამუდმებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო დახმარების შედეგია, რომელსაც პრეტორიას უწევენ დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნები.

აფრიკის სამხრეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებ ი თ შეშფოთებ უ ლ ი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი მიმართავს ყველაზე დანაშაულებრივ მეთოდებს — შეიარაღებულ აგრესიულ აქციებს მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ, განაცხადა სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ო. ა. ტროიანოვსკიმ.

სხდომის დროს ანგოლის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბარბაროსული ოპერაციის დაგმეს ლიბერიის, ბრაზილიის, პორტუგალიის დელეგატებმა.

ᲐᲜᲢᲘᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ

თეირანი, 2 ნოემბერი. გუშინ უცნობმა პირებმა თეირანში მოკლეს ხომეინის წარმომადგენელი აიათოლა ალი ყაზი ტაბატაბაი.

თავდამსხმელებმა რამდენჯერმე ესროლეს აიათოლას ქუჩაში და მოტოციკლეტებით მიიმალნენ. ტაბატაბაი თვალსაჩინო რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელიც სათავეში ჩაუდგა შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ მოძრაობას თეირანის რაიონში. რადიოთი გამოსვლისას აიათოლა შარიათმადარიმ ტაბატაბაის მკვლელობა შეაფასა, როგორც ირანის

ახალგაზრდული გზნებით

ფესტივალის შემდეგ

საბჭოთა კავშირში პირველად ბევნს რესპუბლიკაში მოეწყო ახალგაზრდული თეატრებისა და ახალგაზრდული სპექტაკლების ფესტივალი. როგორც ყველა პირველ საქმეს, თბილისურ ფესტივალსაც ეონდა მცირე ხარვეზები. მაგრამ მთავარი და საგულისხმოა ის, რომ ეაიძრა სასიკეთო საქმე — დასაბამი მეცა აქტიურ თეატრალურ ფეხვედრებს, ახალგაზრდობის კონტაქტებს, შემოქმედებითს პაექრობას.

პირველი საფესტივალო სპექტაკლი რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოგვიდგინა თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა. ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მცირე მიწის“ მიხედვით შექმნილმა პანტომიმურმა სანახაობამ დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებელთა შორის.

მეორე დღეს რუსთაველის თეატრის სცენა დაეთმო რიგის მოზარდ მაყურებელთა თეატრს. იმავე დღეს საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის დარბაზში ახალგაზრდულ კლუბთან „ამირანთან“ არსებულმა თეატრალურმა ჯგუფმა გაითამაშა ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ მიხედვით შექმნილი წარმოდგენა. სპექტაკლის შემდეგ, იქვე, მაყურებელთან ერთად თეატრალურმა კრიტიკოსებმა განიხილეს ახალგაზრდების ნამუშევარი. მეტეხელებმა დ. კლიაშვილის „უბედურება“ უჩვენეს ფესტივალზე მოპატიჟებულ მოსკოვის, რიგის, ერევნის, ბაქოს დელეგაციის წევრებს.

თბილისელები დაესწრნენ 32 საფესტივალო სპექტაკლს. ყოველ საღამოს 3-4 წარმოდგენა იმართებოდა.

ახალგაზრდული თეატრალური ფორუმი, სპექტაკლების გარდა, ითვალისწინებდა სხვა საფესტივალო ღონისძიებებსაც. მოეწყო ოთხი შემოქმედებითი კოლექტივის (რიგის, ბაქოს, თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები) შეხვედრა და სპექტაკლების განხილვა. შემოქმედებითი შეხვედრა გაიმართა თეატრალურ საზოგადოებაში, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში, მეტეხის თეატრში. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ფესტივალზე მოწვეული მოწინავე ახალგაზრდულ თეატრალურ კოლექტივებს გულთბილად შეხვდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

თანამედროვე თეატრის პრობლემებზე, დრამატურგიის, რეჟისორული ხელოვნებისა და სამსახიობო ოსტატობის აქტუალურ საკითხებზე ცხოველი დიალოგი გაიმართა ფესტივალის სტუმრებსა და კინოსტუდია „ქართულ ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს წარმომადგენელთა შორის.

თბილისური თეატრალური ფესტივალი თავისებური გახლდათ. პროფესიული თეატრების გვერდით ნახავდით უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტურ სახალხო თეატრებს, თეატრალური ინსტიტუტისა და კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდიის ახალგაზრდული კოლექტივების საუკეთესო საკურსო თუ სადიპლომო ნამუშევრებს; პირველ ტურში გამარჯვებულთაგან თბილისურ ფესტივალში მონაწილეობის პატივი ხვდათ სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონების სახალხო თეატრებს, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშათა ახალგაზრდულ თეატრს და კავშირგაბმულობის კულტურის სასაზღვართან არსებულ პოეტურ ახალგაზრდულ თეატრს.

სულ 25 თეატრალურმა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა ფესტივალში. აქედან 9 თვითმოქმედი კოლექტივი იყო. ეს პროფესიული და თვითმოქმედი ხელოვნების გათანაბრებას როდი გულისხმობს. ფესტივალის ორგანიზატორებმა ეს გადაწყვეტილება იმ მიზნით მიიღეს, რომ უფრო შეეწყოთ ხელი თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლებისა და გაფართოებისათვის, დიდ ფორუმში მონაწილეობით წაეხალისებინათ ახალგაზრდა ენთუზიასტები. რა თქმა უნდა, ახალგაზრდულ პროფესიულ თეატრებსა და თვითმოქმედებას შორის სხვაობა დიდია, მოთხოვნილებაც სხვადასხვა, მაგრამ მათ აერთიანებს სიჭაბუკე და თეატრის უსაზღვრო, უანგარო სიყვარული.

თბილისური ფესტივალი დაამშვენეს სტუმრად მოწვეულმა მოსკოვის, რიგის, ერევნის, ბაქოს მოწინავე ახალგაზრდულმა თეატრალურმა დასებმა.

ასეთმა წარმომადგენლობამ თბილისურ ფესტივალს საკავშირო მასშტაბი და რეზონანსი მისცა. საფუძველი ჩაეყარა საინტერესო თეატრალურ მოძრაობას, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდობასთან, ახალგაზრდულ კოლექტივებთან, ახალგაზრდული თეატრების პრობლემურ საკითხებთან, სიახლეებთან და ძიებებთან.

ეიორიმ გადაწყვიტა არ გამოეყო საგანგებოდ რომელიმე საფესტივალო სპექტაკლი, — ყველა თეატრალური კოლექტივი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალური სიგელით, სამახსოვრო საფესტივალო ემბლემით და ფასიანი საჩუქრებით.

დღესდღეობით, როცა შემოქმედი ახალგაზრდობის მიმართ ყურადღება და მომთხოვნელობა ესოდენ გაზრდილია, თბილისური ფესტივალი უკვალოდ არ ჩაივლის. კარგი დასაწყისი სხვათაც წააქეზებს, და შემდგომი ფესტივალები უფრო მასშტაბურ და სერიოზულ თეატრალურ ზეიმებად გადაიქცევა.

ა. შალუტაშვილი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილების გამგე, ფესტივალის საორგანიზაციო შტაბის უფროსი.



საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, საკავშირო სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი გიორგი თოთიბაძე მხატვართა იმ თაობის წარმომადგენელია, რომლის სულიერი სამყარო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გიგანტურ სვლებში ყალიბდებოდა და სიჭაბუკის წლებში სამამულო ომის გამარჯვებათა პათეთიკით იმსჭვალებოდა.

მომავალი მხატვარი ყმაწვილობიდანვე გამოირჩეოდა სახვითი აზროვნების თანდაყოლილი ნიჭით. პირველი პროფესიული გაკვეთილები მიიღო თბილისის პიონერთა სასახლესთან არსებულ ხატვის წრეში, რომელსაც იმ დროს შესანიშნავი მხატვარი გრიგოლ მესხი ხელმძღვანელობდა. შემდეგ პირდაპირ შედის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. უკვე მისი სადიპლომო ნამუშევარი ფერწერული ტილო „ახალ მიწაზე“ რესპუბლიკის ორმოცდაათიანი წლების მხატვრული შემოქმედების ზრდის მაჩვენებელ ერთ-ერთ იტალონად იქნა აღიარებული. სამართლიანად არის აღნიშნული, რომ სურათში „ახალ მიწაზე“ „გამოვლინდა გ. თოთიბაძის ნიჭის ძლიერი მხარეები, მისი გამახვილებული ინტერესი თანამედროვე თემებისადმი, დღევანდელი დღის მნიშვნელოვან მოვლენებზე გამოხმაურების უნარი“. აი ეს ალღო, თანამედროვეობის მოთხოვნათა შეცნობისა და მათზე ფხიზელი რეაგირების უნარი, მისი შემოქმედებითი გზის მამოძრავებელი ბერკეტი გახლავთ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გ. თოთიბაძის შემოქმედებითი ცხოვრების ფართო სარბიელზე გამოსვლის წლები ემთხვევა პერიოდს, როდესაც მხატვართა ახალ თაობაში ჩნდება ტენდენციები სტილიზატორობისა, „ფრთაშეკვეცილი ნატურალიზმიდან“ თავის დაღწევისა. ამდაგვარმა გატაცებებმა ბევრი მხატვარი თანამედროვეობის, სოციალური პრობლემატიკის სახოვანი ინტერპრეტაციის ამოცანათა მიღმა დატოვა. თოთიბაძემ კი დროის გამოცდას გაუძლო. ამიტომ არის, რომ მისი ადრინდელი თუ შემოქმედებითი ნაწარმოებები ერთიანი იდეით, ერთიანი მხატვრული მრწამსით არის შეკრული. უწყვეტი, ურყევი მთლიანობა მისი შემოქმედებითი გზის თავისებურებაა და იგი მხატვრული აზროვნების ინტელექტუალური საწყისით არის განპირობებულ-განმტკიცებული.

დღეს გ. თოთიბაძე გვევლინება მრავალმხრივი ინტერესების ხელოვნად: პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი, ჟანრული სურათი, თემატიკურ-მონუმენტური კომპოზიციები, წიგნის ილუსტრაცია, კინოსურათებისა და მულტფილმების გაფორმება, კედლის მხატვრობა თუ წმინდა დეკორატიული კომპოზიციები ქსოვილებისა და გობელენებისათვის მის მხატვრულ ინტერესშია მოქცეული. მაგრამ, გ. თოთიბაძის ხელოვნების მთავარი პრობლემა მაინც ახალი, სოციალური ცვლილებებით გარდაქმნილი თანამედროვეობა და ახალი ადამიანის ხატვანი გააზრებაა, რომლის გმირული სახის წარმოჩენით შთაგონებულია მისი ძიების გზა. ამ ხაზით იგი სხვადასხვა დროს თემატიკურ სურათებსა თუ ცალკეულ პორტრეტულ კომპოზიციებში თანამიმდევრულად გადმოსცემს ახალი საბჭოთა ადამიანის სულიერ სიმდიდრესა და სოციალურ ცვლილებათა კოლოზიებში შემუშავებულ მისი შინაგანი სამყაროს თავისებურებებს.



შემოქმედებითი პორტრეტი

ჩვენი დღეების მღელვარე სუნთქვა

მის ცნობილ ფერწერულ ტილოებში („რუსთაველ მეტალურგები“, „ახალი მეგვიანეები“, „ჩაის პლანტაციის გმირები“, „ჩაის მკრეფავნი“, „სტუდენტები“, „ცეკვა“ და სხვ.) მძლავრად ვლინდება გ. თოთიბაძის ნიჭის საუკეთესო თვისებები: მტკიცე რეჟისურა, ხედვის რეალისტური საფუძველი, სასურათო სიბრტყის მთლიანობად ქცევის უნარი, გამოსახულ პერსონაჟთა ზუსტი ფსიქოლოგიური დახასიათება და მათი განცდების გაერთიანება.

ბუნებრივია, რომ გ. თოთიბაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი პორტრეტულმა ჟანრმაც დაიკავა. მას იზიდავს როგორც გამოჩენილ ადამიანთა, ისე თანამედროვე ახალგაზრდა თაობის სახეთა უკვდავყოფა.

ლოგიკურია, რომ დღეს მისი დამოკიდებულება ნაწარმოების პერსონაჟთან მაძიებლურია და მიზნად ისახავს არა იმდენად ფიზიკური მსგავსების დადგენას, რამდენადაც მხატვრული პორტრეტული სახის შექმნას. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითებია „თამადა“ — კახელი გლეხის განზოგადებული სახე, მოქანდაკე მიხეილ ყიფიანის პორტრეტი, რომელთა ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის შექმნილია შესატყვისი ფერწერული გარემო.

თოთიბაძის ხელოვნება ცხოვრებისეულია. იგი ყოველ თავის კომპოზიციას „ნატურის“ ღრმა შესწავლაზე აფუძნებს. აკეთებს მრავალ ჩანახატს, ეტიუდებს და ამ მყარ საფუძველზე ქმნის სურათის საერთო სახოვან მეტყველებას. მისი გმირებიდან გამოსჭვივის ოპტიმიზმი, ყოფიერების პათოსი, სიმხნევე, საკუთარი ძალის რწმენა, რწმენა გამარჯვებისა.

გვჯერა, რომ გ. თოთიბაძის შემოქმედებითი პოტენციალი კვლავ გაამდიდრებს ეროვნულ სახვითს ხელოვნებას.

ლ. რჩეულიშვილი,
პროფესორი.

●

სურათებზე: გ. თოთიბაძის ნამუშევართა რეპროდუქციები. მარცხნივ — „შოთა რუსთაველის პორტრეტი“, „ნიკოლოზ მუსხელიშვილის პორტრეტი“, „თამადა“. მარჯვნივ — „ახალ მიწაზე“ (ფრაგმენტი).

ხრამის ხეობაში და ალაზნის ველზე

400-მდე ფორმის ველური ყურძენი აღმოაჩინეს საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციის მონაწილეებმა ხრამის ხეობაში და ალაზნის ველზე. ყველა ეს ფორმა ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბაზის კოლექციაში შევიდა. ველურ ვაზს ახასიათებს შესანიშნავი სამეურნეო თვისებები: უხვი მოსავლიანობა (100-120 ცენტნერი ჰექტარზე), მომტენელი შაქრიანობა (21-24 პროცენტი), აგრეთვე ყინვამედეგობა და გვალვაგამძლეობა. მათ პრაქტიკულად ვერას აკლებს სოკოვანი დაავადებანი.

ინსტიტუტის მეცნიერები ეწევიან მუშაობას ახალი ველური ფორმების გაკულტურებისათვის. მაგალითად, ფორმები ქცია-40, ვანურა-2, პირღებული-3 სახელმწიფო გამოცდას გადის.

ახალი ფორმები გაამდიდრებს ყურძნის ველოფორდს, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში სტაბილური უხვი მოსავლის მიღებას.

(საქინფორმი).

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობამ „ლიტერატურამ“ დაბეჭდა ირაკლი აბაშიძის ლექსების კრებული „ვეძებ ალთქმულ კვალს“, რომელიც წარმატებულ ცნობილი კრიტიკოსის იური სუროვცევის წერილი „გადაუშლია შენთვის მგოსანს გული და სული“. ქვემოთ მცირედი შემოკლებით ვბეჭდავთ ამ წერილს.

გადაუშლია შენთვის მგოსანს გული და სული

ჩემო ნორჩო მეგობარო, ამ წიგნის მკითხველო!

მისი წინათქმა ისე დავწერე, თითქოს წერილსა გწერდე შენ, ახალგაზრდა კაცს, მოუსვენრად რომ იზრდები, სწრაფად იცვლები, ხარბად ესწრაფვი სადიდო საქმეებს, აზრებს და განცდებს... მაშ ასე. ეს ლექსთა კრებული, ცნობილი ქართველი საბჭოთა პოეტის ირაკლი აბაშიძის მცირე „რჩეული“, კაცმა რომ თქვას, სულაც არ დაწერილა საგანგებოდ შენთვის, წიგნი შეიკრა შენწე უფროსებისათვის გათვალისწინებული თხზულებებისაგან. მაგრამ ის შენც დაგაინტერესებს. შენ ხომ მიადექი იმ საზღვარს, რომელიც ჰყოფს ბავშვობას, ყრმობას და სიჭაბუკის, ხოლო სიჭაბუკი... ო, სიჭაბუკი არა ოდენ უბრალოდ ასაკია, ეს სულიერი მდგომარეობაც არის, და პოეტები, სწორედ პოეტები გრძნობენ ამ მდგომარეობას უკეთ, ვიდრე ვინმე სხვა ქვეყანაზე, რადგან თვითონვე რჩებიან მუდამ ჭაბუკებად, ჭაღარაშერთუელნიც კი ახალგაზრდები არიან.

სიჭაბუკე ჰქვია წამს,
როცა ჰანგი ხარ და მღერა,
როცა სიყვარული გწვავს,
როცა მკერდში ღვივის კერა.

სიჭაბუკე ჰქვია წამს,
როცა ციდან გესმის ფლერა,
როცა ყველაფერი გწამს,
როცა ყველაფერი გჯერა

სიჭაბუკი ჰქვია წამს...

მაშ, რა სახსენებელია აქ ასაკი, წელთა სიმრავლე, ბევრი იცოცხლა თუ ცოტა იცოცხლა ადამიანმა?

...ესეც პირველი სასარგებლო „გაკვეთილი“, რომელიც პოეტმა შემოგთავაზათ: შეგიძლია ჭაბუკად დარჩე დიდხანს, და თუ მოიწადინებ — მთელი შენი დღე და მოსწრება შეგიძლია ახალგაზრდა იყო.

ირაკლი აბაშიძემ, თუ მისი ლირიკული ლექსების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს მოისურვა და შეძლო. კაცდაც წელს სამოცდაათი წელი ესრულდებაც, მისი მუზა კი კვლავ ვინდებურად ახალგაზრდაა. ტკბილად როდია მისი საყვარელი დრო გაზაფხული — ამაში არაერთხელ დარწმუნდები, როცა წაიკითხავ, თუ როგორ უხსნის სიყვარულს, როგორ უშლის გულს გაზაფხულის პოეტი.

მგოსანი სიბერის სამანს უახლოვდება („მიახლოება“), მაგრამ მთავარი საუნჯე — შთაგონება შენახული აქვს და უფრთხილდება.

შთაგონების ძალა კი რაშია? იმაში, რომ შეგწევდეს უნარი იხილო სამყაროო მარად ახლებურად, ეჩვენოს შენს თვალსა და გულს წუთისოფელი მარად განუმეორებელი სახით, არ გაქრეს ყმაწვილკაცური ხილვა ქვეყნიერებისა, რომელშიაც ცხოვრობ, არ დააკლდეს სტრიქონს „ეფერა და ხმოვანება“, სინდღე და მამაობა, „სილბო-ნამიან ლორთქო ბალახის“. თუ გული კვლავ ყმაწვილურად დაკლდება „ბგრძნობიარობა ჭადრის რტოების, სმენა ქალწულის გაბმულ ფიქრისა, თვალი მთის წვერზე განმარტოების, ყნოსვა გაუვალ ტყის ბილიკისა“.

რა თქმა უნდა, ცხოვრების გამოცდილებაც, დაგროვილი სიბრძნეც, გრძნობის და ფიქრის სიმწიფეც დიდად მნიშვნელოვანია პოეზიისათვის.

მშვენიერ ლექსში „ნიკოლოზ ტიხონოვს“ (ირაკლი აბაშიძე საერთოდ მშვენივრად წერს მამაკაცურ მეგობრობაზე, მოძმე ხალხთა პოეტების მეგობრობაზე, ათეულწლობით რომ გრძელდება, მყარდებოდა განვლილი ომის ქარცეცხლში და მტკიცდება დღევანდელ სამშვიდობო ბრძოლებში) არცთუ უნაღვლოდ თქვა:

სამოცი წელი...
ყველა გაქრა წელი სამოცის,
იმ მქუხარ ხმების, იმ ძველ ხმების,
ხმების საოცრის,
სამოცი წელი, იმ შმაგ წლებზე
სიზმრად ნაფრენი...
სამოცი წელი, —
უკან დარჩა თვალს
ყველაფერი...

თითქოს იგივე ვართ, მაგრამ წლები მოქრიან, კიჩოსთან აქოჩრილი-ტალღები სამუდამოდ უკან გვრჩებიან... ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი, სამოცი წელი ცოტა როდია...

შენ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გაიგებ ამ სევდა-ნაღველს, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ირაკლი აბაშიძის ლექსთა მკითხველო. მაგრამ შეეხე შენი გულითად ამ განცდებს, და გამოძახილს შენს სულშიაც გაიგონებ. წაიკითხე, მაგალითად, ლექსი „ალაზანზე“ ან „ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე“... წაიკითხე და დაუფიქრდი... ადამიანური გრძნობების სისავე, გაგების სივრცე, აღსარებათა და აღმოჩენათა სიფართოვე — უცებ როდი მოდის, მაგრამ თუ ერთხელ მოვდეა ლექსში, სამუდამოდ რჩება იქ სხვა ადამიანებისათვის, ასევე შენთვისაც.

უშუალო და შთაბეჭდილებათა ძლიერების შენარჩუნებასთან ერთად ცხოვრების, გამოცდილებიდან მოდის ირაკლი აბაშიძისთან თემა ისტორიის დიდებისა, მშობლიური ხალხის, მოძმე ხალხთა მთელი კაცობრიობის ისტორიისა. ეს თემა ისევეა მისთვის დამახასიათებელი, როგორც გაზაფხულის თემა. არა, არ არის სიზმარი და ფერფლი ის, რასაც ოსტატი თავის ქმნილებაში აქსოვს, — დიდი შოთა რუსთაველის პოემა იქნება თუ გარდასულ ჟამთა უცნობ ქვისმთლელების, მძერწავრების, ხუროთმოძღვართა ქმნილებები. ბაგრატის ტაძრის ნანარეკებთან, თავის მშობლიურ მხარეში, ჭოთაისს ისტორიულ შემოგარენში ლამობს პოეტი დაეჭიროს გაზაფხულისა და ამ სიძველის ნათესაობა. ძალზე თავისებური, დამახასიათებელი სურვილია ეს ი. აბაშიძისთვის, და ძალზე ქართული!

შენ წაიკითხავ ჭიშმარიტ ქართველ პოეტს ეკარგი რუსი პოეტების თარგმანებში. რუსმა პოეტმა უნდა გადმოსცეს თარგმანებში ი. აბაშიძის ლექსების „ქართულობა“, ქართული სული, და ამას აკეთებს კიდევ.

„სულის ბიოგრაფია“, პოეტის ხასიათი — ყველაზე მეტად სწორედ ამ ლექსებშია!

ი. აბაშიძის ლექსთა კითხვას ჩვენ გადავყავართ ქართული ისტორიის სამყაროში, ქართული კულტურის, ქართული ბუნების სამყაროში.

ხშირად პოეტს მშობლიური ბუნება, მშობლიური პეიზაჟი შთაგონებს სიმბოლურ სახეს: მახვილი, მეტყველი, მკვეთრი ემოციური ზეგავლენა ჩვენს შემეცნებაზე... აი, სად არის პოეზია.

„სინათლით სავსე იმერეთში“ ერთი უსინათლო ვაქაცი იყო, „ოდაში იჯდა თხუთმეტი წელი“ — ეს გახლდათ მამა: „ხან თეშშარაზეც ფრთხილად და ჩუმად გამოჩნდებოდა ჩალისფერ ჩოხით, და სიცოცხლეს და სიკვდილს შორის გზას მიიკვლევდა ბამბუკის ჯოხით“. რა დრამატული სიმბოლიკაა!

ან თუნდაც ლირიკული პოემა რუსთაველზე. ერთ-ერთ თავში აკეთორი ქმნის სამშობლოდან გადახვეწილი პოეტის ტრაგიკულ სახეს. საშინელი მოჩვენება გამოეცხადება, თითქოს ხმალი ვადამდია კლდეში ჩასობილი. პოეტს ელანდება „ხმალი ტარში გადამსხვრეული“, სიმბოლო ჩინგისხანის შემოსევისა!

ქართული პოეზია რუს მკითხველს, თუ სმენა მიჩვეული არა აქვს, ამაღლებულ-ემოციური ეჩვენება, თითქოს განსაკუთრებით აწეული და ამაღლებული. ეს სრულიად ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ ქართული პოეზიის დიდ რომანტიკულ ტრადიციას. ირ. აბაშიძეს შესწევს უნარი დააოკოს ტემპერამენტი (რა დიდებულადაა დაოკებული მძვინვარება ლექსებში ომზე, ყირიმისა და კავკასიისათვის ბრძოლების ამსახველ სიმღერებში!). მაგრამ მისთვისაც დამახასიათებელია ამაღლებული ემოციურობა, რომანტიკულობა, ნეტარება და დაუოკებელი წყურვილი, როგორც შემოქმედებითი მოტივი და სულიერი მდგომარეობა.

უნდა შეგვეძლოს ასეთი წრთობის ლექსთა მოსმენა, უნდა შეგვეძლოს ასეთ ძლიერ განცდათა კოლოს ჟღერას შევუთანხმოთ ჩვენი განწყობა.

შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ შესანიშნავ პოემაში, მის „ხმათა“ სიუიტაში, ეს კიდევ განსაზღვრავს ნათელი, რთული, ღრმაზროვანი ნაწარმოების მთელ მუსიკას.

თანამედროვე ქართველი პოეტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის პოემაში მისი დიდი წინაპარი მთელი თავისი მრავალფეროვანი და მდიდარი ბუნებით არის წარმომდგარი: როგორც ფილოსოფოსი, თვით ღმერთს რომ ედავება, ოღონდ ცხადია, თავისი ეპოქის სულისკვეთების შესაბამისად, ჩვენი გაგებით ათეისტი როდია; როგორც პოლიტიკური მოღვაწე; როგორც პოეტი, მძაფრი ვნებიანი სიყვარულით შეპყრობილი მამაკაცი. შოთა ჩვენი თანამედროვეა ყველაფრის მიუხედავად, რადგან მისი სახე დახატულია ჩვენი თანამედროვე პოეტის ხელით, და კიდევ იმიტომ, რომ მისი პოემის ძირითადი მოტივია გონებისა და ადამიანურობის დიდება.

ასეთი განდიდება სიკეთისა კი მუდამ იქნება მახლობელი ჩვენი კომუნისტური საზოგადოების შშენებელი ქვეყნის შვილებისათვის.

შენთვის არ იწერებოდა, ნორჩო მეგობარო, ის ლექსები, რომელთაც ამ წიგნში მოიყარეს თავი. მაგრამ შენც წაიკითხე, დაუფიქრდი, და ნახავ, რომ ისინი შენიც არის. აკი შენ გეხება კითხვები სიცოცხლის აზრზე, მეგობრობაზე, რაც პოეტის წარმოსახვას აღელვებს. როცა შენ თვითონ შეხვალ ხანში, ადამიანის სულში წვდომის დაუძლეველი სურვილი დაგეუფლება, ასე გასწავლის პოეტი.

ალბ, რისთვის უნდა ელოდე იმ წლებს? დე, მიგიზიდოს ადამიანის სულმა დღესაც, ახალგაზრდობაში, ყმაწვილკაცობაში!

ირაკლი აბაშიძეც შენს წინაშეა: გადაუშლია შენთვის პოეტს გული და სული.

იური სუროვცევი.

იბრძოდნენ ნათელი მომავლისათვის

ქართლის რაიონებში საყოველთაო აჯანყების 60 წელი

1919 წლის ზაფხულში უფრო გაფაფათოვა თავისი შეტევის ფრონტი დენიკინის „მოხალისეთა არმიამ“, იგი სამხრეთიდან მოუახლოვდა მოსკოვს და უაღრესად სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა საბჭოთა რესპუბლიკა.

ბოლშევიკების პარტიამ დიდი ლენინის მეთაურობით დარაზმა საბჭოთა ხალხი და ფეხზე დააყენა მთელი ძალები დენიკინის არმიის განსაგდურებლად. „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად“, — ასეთი იყო ლენინის ლოზუნგი, რომლის შესასრულებლად საქართველოს ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს დაეჩქარებინათ საყოველთაო აჯანყების მომზადება მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა საქართველო — დენიკინის სამიდელ ზურგი — გადაექცეთ მის საწინააღმდეგო ფრონტად. აჯანყების ვადად მიღებულ იქნა ოქტომბრის რევოლუციის ორი წლისთავი — თბილისში 1919 წლის 24 ოქტომბერი, ხოლო საქართველოს რაიონებში — ამავე თვის 25 რიცხვი.

1919 წლის მეორე ნახევარში რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო და თბილისის საქალაქო კომიტეტებმა ქართლის რაიონებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, საყოველთაო აჯანყების მომზადებაში პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის თვალნათლად წარმომადგენლებად გაგზავნეს ზ. აიდაროვი, გ. შანნაზაროვი, ა. ლომიძე, ი. ჯეჯელავა, შ. მთიულაშვილი და სხვები. მათ ხაშურის, მეჯვრისხევის, ატენის, ახალქალაქის, ხოვლეს, ალის და სხვა რაიონებისა და სოფლების ბოლშევიკურ ორგანიზაციებში გამართეს კრებები და საუბრები და განიხილავდნენ საკითხებს მენშევიკების წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყებისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

საყოველთაო აჯანყებისათვის მზადებაში აქტიურად ჩაება აგრეთვე ქალაქ გორის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც ამზადებდა აჯანყებას გორში და ამავე დროს ეხმარებოდა ქართლის რაიონების ბოლშევიკურ ორგანიზაციებს აჯანყებისათვის მზადებაში.

მეჯვრისხევის რაიონის სოფლების რევოლუციურ კლუბთა რაზმები გაერთიანდნენ მეჯვრისხევში მყოფი რევოლუციური შტაბის ირგვლივ.

სამხრეთ ოსეთის რაიონებში აჯანყების მომზადებისა და გატარებისათვის ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა ბოლშევიკური პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს.

ამრიგად, ქართლის რაიონებში საყოველთაო აჯანყებისათვის მზადება წარმატებით განხორციელდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტებისა და საქართველოს მენშევიკური მთავრობის კონტრდაზვერვამ შეიტყო ბოლშევიკების მიერ მომზადებული გეგმა საქართველოში მენშევიკების წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყების მზადების შესახებ და დაუპატიმრა თბილისში მყოფი აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი — სამხედრო რევოლუციური შტაბი. ამის გამო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული შეიქნა აჯანყების დროი გადაეტანა და საჩქაროდ ეცნობინა ყველა თავისი ორგანიზაციისათვის. მაგრამ ზოგიერთმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომლებმაც დაკვიანებით მიიღეს დირექტივა აჯანყების გადადების შესახებ, დანიშნულ დღეს მოაწყვეს აჯანყება. როკის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მენშევიკების წინააღმდეგ ორგანიზებულად მოაწყო გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 470-ზე მეტმა კაცმა. აქ აჯანყებულმა გლეხებმა 23_24 ოქტომბრის დაამხეს მენშევიკების ხელისუფლება და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება როკის რაიონში.

1919 წლის 24 ოქტომბერს შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეს აგრეთვე ხაშურის საორთქლმავლო დეპოს მუშებმა და მის მახლობლად მდებარე სოფლების გლეხებმა, რომელთა რიცხვი 600-ს აღემატებოდა.

თუმცა საყოველთაო აჯანყების ცენტრის ჩავარდნის გამო 24 ოქტომბრისათვის დანიშნული შეიარაღებული გამოსვლები უშედეგოდ დამთავრდა, საქართველოს მშრომელ ხალხს მენშევიკების წინააღმდეგ რევოლუციური გამოსვლებისათვის მზადებაზე ხელი არ აუღია. „მაგრამ ცენტრი, — წერს ფ. მახარაძე, — მაინც ფიქრობდა ბრძოლის გაგრძელებას. ამ მიზნით დაჩქარებით შედგა ახალი სამხედრო შტაბი და რამდენიმე თვით აჯანყების გეგმაც. ახლა გამოსვლები პირველად უნდა დაწყებულიყო პროვინციაში, რომელსაც შემდეგ თბილისი უნდა გამოხმაურებოდა. აჯანყების ვადად დაინიშნა 8-9 ნოემბერი“.

ქართლის რაიონების მშრომელმა გლეხობამ კვლავ გაძლიერებით დაიწყო მზადება მენშევიკების წინააღმდეგ. 7 ნოემბერს გლეხთა აჯანყება დაიწყო სოფელ ხოვლეში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამავე სოფლის სამხედრო-რევოლუციური შტაბი შ. მეცხვარიაშვილის, ა. ჯეჯელავას, გიორგი პაპუნაშვილის და არტემ ხუციშვილის ხელმძღვანელობით. მაგრამ ზოგიერთმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომლებმაც დაგვიანებით მიიღეს დირექტივა აჯანყების გადადების შესახებ, დანიშნულ დღეს მოაწყვეს აჯანყება. როკის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მენშევიკების წინააღმდეგ ორგანიზებულად მოაწყო გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 470-ზე მეტმა კაცმა. აქ აჯანყებულმა გლეხებმა 23_24 ოქტომბრის დაამხეს მენშევიკების ხელისუფლება და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება როკის რაიონში.

9 ნოემბერს ნაშუადღევს აჯანყებულ გლეხებს, და მენშევიკების ჯარებს შორის დიდი ბრძოლა მოხდა ახალქალაქის მისადგომებთან. გლეხები 9 ნოემბრიდან 10 ნოემბრის შუადღემდე გმირულად ებრძოდნენ თავით ფეხამდე შეიარაღებული მენშევიკური დამსჯელი რაზმის წინააღმდეგ და მკერდით იცავდნენ მოპოვებულ გამარჯვებას. მაგრამ აჯანყებულებს აღარ ეყოთ ძალები და ისინი იძულებული გახდნენ დროებით დაეხიათ უკან.

მენშევიკების ჯარები 10 ნოემბერს ყაჩაღურად შეიჭრნენ ახალქალაქში, შეუბრალებლად გაუსწორდნენ მოსახლეობას და დაუპატიმრეს 20 აჯანყებული გლეხი, რომელთა შორის იყვნენ აჯანყების მეთაურები შ. მეცხვარიაშვილი, შ. ჯალუსტოვი, გ. პაპუნაშვილი და სხვ.

მენშევიკებმა ნოემბრის პირველ რიცხვებში შეიტყვეს, რომ მეჯვრისხევის რაიონში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა მიმდინარეობდა გლეხთა აჯანყების მოსაწყობად. ამიტომ მათ იქ 7 ნოემბერს გაგზავნეს დამსჯელი რაზმი სახალხო გვარდიის გორის საოლქო შტაბის უფროსის მეთაურობით. გვარდიელები იმავე დღეს ყაჩაღურად დაესხნენ სოფელ მეჯვრისხევს, სადაც დაარბიეს გლეხთა რევოლუციური შტაბი და დაუპატიმრეს რევოლუციური რაზმების ზოგიერთი მეთაური: კარპეტ შანნაზარავი, ვასო კოჭლაშვილი, მიხეილი ურიკაშვილი და სხვები. მაგრამ მენშევიკებმა

კახი ასათიანი:

გამარჯვებას დიდი წესრიგი უნდა

მოსკოვი „ლოკომოტივთან“ უიღბლო მატჩის შემდეგ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ორ ნოემბერსვე გვიან ღამით სპეციალური თვითმფრინავით დაბრუნდნენ.

გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა გუნდის უფროსს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს **კახი ასათიანს** და სთხოვა მას „კომფენსატის“ მკითხველთათვის ეამბნა, თუ როგორ ემზადება გუნდი „ჰამბურგთან“ შესახვედრად.

კახი ასათიანმა თქვა:

— თბილისის „დინამოს“ 7 ნოემბერს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მეტად პასუხსაგები მატჩი მოელის დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო კლუბ „ჰამბურგთან“.

24 ოქტომბერს მეტოქის მოედანზე ჩატარებული მატჩის დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ განმეორებით შეხვედრაში გამარჯვების ძალა ნამდვილად შეგვწევს. მართალია, გვაწუხებს გოჩა მაჩაიძის პრობლემა — მისი მატჩში მონაწილეობა ჯერ კიდევ სავარაუდოა, ყიფიანი და გუცაევი კი უკვე მწყობრში არიან.

საჭირო ანგარიშით მოგებისათვის ენერგიასა და მონდომებას არ დავიშურებთ, ვიბრძოლებთ ბოლომდე, მაქსიმალური დატვირთვით, და ვეცდებით ვაჩვენოთ ისეთი ფეხბურთი, მხოლოდ უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს რომ შეეფერება.

მერწმუნეთ, გუნდს გულით სურს ქართველი გულშემატკივრების რამედის გამართლება. ჯერ სამი ნოემბერია და უკვე ასობით დეპეშა და წერილი მივიღეთ. მაყურებელი მხარდაჭერასა და გამხნევებას გვპირდება. ამაში ჩვენ ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი. მატჩის მთელი 90 წუთის განმავლობაში, ვისი უპირატესობითაც არ უნდა წარმართოს მისი ყოველი წუთი, „დინამო“ თავისი ქომაგებისაგან თანადგომას ელის. თბილისელ მაყურებელს, არა მარტო ჩვენი გუნდის, არამედ ჩვენი დედაქალაქისა და რესპუბლიკის პატრიოტს ხელს არაფერი შეუშლის ჭეშმარიტი გულშემატკივრობაც გაგვიწიოს და თანაც ობიექტური იყოს სამატჩო ეპიზოდებისა და პერიპეტიების შეფასებისას.

ფეხბურთი მაინც ფეხბურთია, ბურთი მრგვალია და არც მსაჯი შეიძლება უცოდველი იყოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში თავდაჭერა და საკუთარი ღირსების დაცვა გვმართებს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ვერა და ვერ აღიკვეთა ჩვენს სტადიონზე მოხულიგნო, უზნეო და თავაგდებული საქციელი.

ხოლო რა შეიძლება მოჰყვეს სპორტული და სანახაოებრივი ეთიკის თითქოსდა უბრალო, არცთუ თვალში დარღვევას, ვისარგებლებ შემთხვევით, და თქვენი გაზეთის მეშვეობით ფეხბურთის მაყურებელთ ვაუწყებთ შემდეგს: ვინც საფეხბურთო პრესასა თვალს ადევნებს, შენიშნავდა, რომ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატების „ფუტბოლ-ჰოკეის“ ამა წლის 28 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია ინფორმაცია „პენალტები, გაფრთხილებები, გაძევებანი“, სადაც მოყვანილია ევროპის თასების გათამაშების პირველი რაუნდის შემდეგ უეფას დისციპლინური კომიტეტის სანქციები ფეხბურთის მოედნებისა და გუნდების მიმართ.

მართალია, თბილისის სტადიონი აქ მოხსენიებული არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, უეფას აღნიშნული კომიტეტის სხდომის ოქმში ჩვენც მოვხვდით, და წარმოიდგინეთ, დავჯარიმდით კიდეც.

ამ დღეებში ციურიხიდან, უეფას შტაბ-ბინიდან სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს“ მისამართით მოვიდა 16 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ლივერპულთან“ თამაშის მსვლელობაში სათამაშო მოედნის ფარგლებში მაყურებელთა გადმოსვლისა და მოედანზე ფოტორეპორტიორის შემოჭრისათვის, ასევე იმის გამო, რომ ღამით ინგლისელებს სასტუმროსთან მიუხდნენ და დასვენების საშუალება არ მისცეს, თბილისის „დინამოს“ სტადიონის მიმართ მიღებულია საჯარიმო სანქცია — 2.000 შვეიცარიული ფრანკი. არათუ ანალოგიური პრეცედენტების დაშვებისას, არამედ ამჯერად უფრო მცირედი დარღვევისთვისაც კი თბილისის „დინამოს“ სტადიონი დისკვალიფიცირებული იქნება.

დამეთანხმებით, ვერაფერი პერსპექტივაა.

და ყველაფერი ეს ერთი მუჭა თავაწყვეტილი ყმაწვილების გამოხომ არ შეიძლება მათი უსაქციელობის გულისთვის ათიათასობით ჭეშმარიტი თბილისელი მაყურებლის ღირსება და სახელი შეიბღალოს, ხოლო ჩვენი სტადიონი დისკვალიფიკაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს?!

ამიტომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა დაბეჯითებითი თხოვნაა, რომ თბილისელმა მაყურებელმა განსაკუთრებით მატჩის დღეს, რომელიც საშვიდნოემბრო დღესასწაულს დაემთხვა (სადღესასწაულო განწყობილებისათვის კი ზოგჯერ აგზნებული მდგომარეობაც არ არის გამორიცხული), **თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად სანიმუშო წესრიგის გარემოცვაში ჩაგვატარებინოს ეს ფრიად პასუხსაგები მატჩი,** რომელსაც მარტო სპორტული პაექრობის მნიშვნელობა როდი აქვს. მოვიქცეთ ისე, რომ არც გამარჯვების სიხარული ჩავიმწაროთ და, თუ მიზანს ვერ მივაღწიეთ, ევროპის ტურნირებში შემდგომი მონაწილეობის უფლება მაინც არ დავკარგოთ.

● ●

რედაქცია მკითხველს სთავაზობს კ. ასათიანის მიერ ინტერვიუში მოხსენიებული ინფორმაციის ნაწყვეტს ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეიდან“:

ევროპის თასების მეორე რაუნდის წინ ყველა არბიტრმა მიიღო ინსტრუქცია — მკაცრად და უყოყმანოდ დასაჯონ ფეხბურთელები არა მარტო უხეშობისათვის, არამედ ყველა ისეთი საქციელისთვისაც, რომელიც სპორტსმენს არ შეეფერება. აი რატომ არის, რომ მეტ წილ ოქმებში გაჩნდა ჩანაწერები გაფრთხილების შესახებ, მსაჯები დაუყოვნებლივ უჩვენებდნენ ყვითელ, ზოგჯერ კი წითელ ბარათებსაც: ხუთჯერ გაძევეს მინდვრიდან მოთამაშეები.

უნდა ითქვას, რომ ევროპის თასების გათამაშების პირველ და მეორე რაუნდებს შორის უეფას დისციპლინურმა კომიტეტმა განიხილა რამდენიმე წინათ მომხდარი ინცინდენტი, თანაც გამოტანილი სანქციები მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა ლმობიერებით ან ლიბერალიზმით. საბერძნეთის აეკის კლუბი დისკვალიფიცირებულია მთელი მომდევნო წლით ჩემპიონთა თასის გათამაშებაში რუმინეთის „არჯესის“ წინააღმდეგ მატჩში მოთამაშეებისა და მაყურებლების არასპორტული საქციელისათვის. იტალიის „მილანი“ 20 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმეს მოთამაშეებისა და მაყურებლების უდისციპლინობისათვის. „ტორინო“ დაჯარიმდა 60 ათასით, „შტუტგარტი“ — 33 ათასით, „ოლიმპიაკოსი“ — 10 ათასით და ა. შ. მოთამაშეებს დაადეს აგრეთვე ინდივიდუალური სასჯელები“.

პირველ ლიგაში

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 44-ე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედო“ ქემეროვოში შეხვდა ადგილობრივ „კუზბასს“. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

ორი ტურით ადრე ლვოვის „კარპატმა“ უმაღლესი ლიგის საგაზური გაინაღდა. ლვოველებს 58 ქულა აქვთ და მათ უკვე ვერავინ დაიწევა. უმაღლესი ლიგის მეორე საგაზური რეალური პრეტენდენტია კრასნოდარის „ყუბანი“.

ოცდამეთერთმეტე ტური

Ე ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 31-ე ტური. ამ დღეს გაიმართა ორი შეხვედრა. „არარატმა“ მოსკოვში დაამარცხა ცსკა — 3:1, ხოლო თბილისის „დინამომ“ სტუმრად წაიგო მატჩი „ლოკომოტივთან“ — 2:4. ეს შეხვედრები ერთობ რთულ პირობებში გაიმართა. მოსკოვში 10 გრადუსი ყინვა იყო, და ცხადია, ფეხბურთელებს თამაში უჭირდათ. მოსკოველთაგან ბურთები გაიტანეს ბადუსოვმა (მე-9 წუთზე) და პეტრაკოვმა (50-ე, 73-ე და 84-ე წუთებზე), თბილისელთაგან — ჩელებაძემ (11-მეტრიანი საჯარიმო, 37-ე წუთზე) და კოპალეიშვილმა (83-ე წუთზე). „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, (კაკილაშვილი), მ. მაჩაიძე, ქორიძე, კოპალეიშვილი, ჩელებაძე. შენგელია (მინაშვილი).**

დუბლიორთა მატჩი დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 3:1. გოლები გაიტანეს ქვანიამ, ცაავამ, ბოლქვაძემ („დინამო“) და დროქანმა („ლოკომოტივი“).

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა 31-ე ტურის ოთხი მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: „დინამო“ (კიევი) — ასკ 2:1, „დინამო“ (მინსკი) — „ზარია“ 6:2, „ზენიტი“—„შახტიორი“ 1:2, „ტრილისა სოვეტოვი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1, „დინამო“ (მოსკოვი) — „ყაირათი“ 2:0.

ამ ტურის დანარჩენი მატჩების ანგარიში ასეთია: **5 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.** „სპარტაკი“ — „ნეფტჩი“; **6 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.** „ტორპედო“ — „ფახთაქორი“.

ალიკანტეს საზღვანთშორისო...

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ ალიკანტეში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის მეორე საზონთაშორისო ტურნირი. თბილისელმა ნინო გურიელმა ახმილოვსკაიასთან მეშვიდე ტურის გადადებული პარტია ყაიმით დამთავრა, ხოლო ლიტინსკაიასთან მერვე ტურის გადადებული პარტია წააგო. მეათე ტურში ლომაჩკო დამარცხდა, ხოლო გურიელმა და ახმილოვსკაიამ თავიანთი პარტიები გადადეს. გურიელს მარკოვიჩთან (იუგოსლავია) გადადებულ პარტიაში უკეთესი პოზიცია აქვს.

10 ტურის შემდეგ ლიდერობს ახმილოვსკაია — 8,5 ქულა (1 გადადებული პარტია). მეორე ადგილზეა ლომაჩკო (ბულგარეთი) — 8, ხოლო მესამეზე — გურიელი — 7,5 ქულა (1 გადადებული პარტია).

გამარჯვებით დაიწყეს

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ქალთბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხ ტურნირს პირველი მატჩი ქალაქ ... სან-ფრანცისკოში ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდთან. გამარჯვებულ გამოვიდა ქალთბურთელებმა ანგარიშით 77:72 (43:28). ძალიან კარგად ითამაშა ტკაჩენკომ, რომელმაც გუნდს 20 ქულა შესძინა. ამერიკელთაგან საუკეთესო სნაიპერი იყო ბრაიანტი — 18 ქულა.

პირველი რეკორდი

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ სალონიკში დაიწყო მსოფლიო პირველობა ძალოსნობაში. შეკიბრებაში მონაწილეობენ 49 ქვეყნის წარმომადგენლები. ეს ჩემპიონატის პირველი რეკორდია.



მზერა და საქმე

გაიხსნა იური როსტის ფოტოსურათების გამოფენა

ᲐᲛ ფოტოსურათებიდან თითოეულს თავისი ისტორია აქვს. რთგორ იღებდა მათ ავტორი, უფრო ზუსტად კი, სად და როგორ ეძებდა და პოულობდა ადამიანებს, რომლებზეც შემდეგ გვიამბო. ეს პირველია. მეორე და, კაცმა რომ თქვას, მთავარი — ეს არის ადამიანები, მათი ბედი, მათი ცხოვრების ამბავი.

ძიებანი, შეხვედრების, გადაღების ამბავი თავისთავად ფრიად საინტერესოა, მაგრამ ავტორი ჩვეულებრივ დუმს ამ ამბებზე. არ დუმს მაშინ, როცა მართლაც რაღაც თვბრუდამხვევს აკეთებს — მაგალითად, აპარატით ადის ლენინგრადის „საადმირალო“-ს წვეტზე“ და იქ იღებს რესტავრატორებს. ამაზე სიამოვნებით გვესაუბრებათ თუნდაც დიდმადი. ჩვეულებრივ კი დუმს. იგი უსიტყვოდ დაგიდებს წინ ფოტოსურათს, და ეს სურათი თავად გეუბნება „მნახეო“.

ფოტოსურათი მეტს ვერაფერს იტევს, თუმცა ეს მთლად ასეც არ არის. იგი იტევს თვით ავტორს, მის ცხოვრებას... მისი ძიებისა და აღმოჩენების ისტორიას. როცა მზერით სხვის ბედს ჩასწვდები და შენეულად შეიცნობ მას. უკვე ვეღარ იცხოვრებ ისე, როგორც წინათ ცხოვრობდი. უკვე ვეღარ შეხედავ ძველი მზერით ადამიანებს და საკუთარ თავს.

სწორედ ასე დაარქვა მან თავის ფოტოსურათებს — „მზერა“. ამ რუბრიკით ქვეყნდება ისინი და— მინდა იმედი ვიქონიო — კიდევ დიდხანს გამოქვეყნდება „კომსომოლსკაია პრავდაში“. იური როსტის ფოტოსურათებს, ჩვეულებრივ, თან ახლავს როსტისეული ტექსტი. და ვერასდროს ვერ იტყვი, რომელია უკეთესი ამ დიდ ფოტოსარკმელებში — გამოსახულება თუ სტყვა. ისინი ერთნი არიან და ასევე ერთი და შესისხლხორცებულია იგი თავის ნამუშევრებთან. გაზეთში, სადაც ესოდენ ძლიერია ავტორისეული საწყისი, სადაც უბრალოდ შეუძლებელია შემოქმედებითი ინდივიდუალობის ყოველგვარი ნიშანლირება, სადაც ჩვენს ჟურნალისტიკაში ვასილ პესკოვმა გამოსახულებისა და სიტყვის ერთიანობა, სინთეზი მოგვავლინა, იური როსტი ამ ჟანრის ერთ-ერთი წამწყვანი ოსტატია.

ამიტომ სამწუხაროა, რომ გუშინ საქართველოს თეატრალური საზოგადოების საგამოფენო დარბაზში გახსნილ გამოფენაზე, რომელსაც როსტმა უბრალოდ და მოკლედ უწოდა — „ადამიანები“, მნახველნი ვერ გაეცნობიან მის მინიატურულ ნოველებს, გაზეთებში რომ ახლავს ხოლმე როსტისეულ „მზერას“.

სამწუხაროა იმიტომ, რომ ეს პატარა, ოც-ოცდაათ ნონპარელის სტრიქონიანი შედევრები ახანგრძლივებენ მომენტის ფარგლებს გარეთ მეყსეულად აღბეჭდილი სულის ისტორიას. საბედნიეროდ თვით ფოტოსურათები ისეთია, რომ მათში მოქცეული მომენტი იქცევა დროებამად, და ერთი სულის ისტორია ხალხის ისტორიას გამოსახავს.

და მაინც აქ, თბილისში, როცა გამოფენას ამზადებდა, ვერ გაუძლო ცთუნებას და გადაწყვიტა ზოგი რამ აეხსნა მაყურებლისათვის, რასაც სურათზე ვერ დინახავდა. მაგალითად, ასეთი: „ანა გოროხოვა, ბლოკადის ლენინგრადის ხაბაზი. 1941 წლის ზამთრის პური ნორმა: 125 გრამი კოპტონის, საჭმელი ცელულოზის, ტომრიდან გამობერტყილი მტვრისგან გამომცხვარი პური“. ანდა, ასეთი განმარტებითი ტექსტი: „ქირურგი ვიაჩესლავ ფრანცევი გულის ოპერაციას უკეთებს ახალშობილ ბავშვებს. 210 ბავშვს მისი სახელი — ვიაჩესლავი დაარქვეს“. ან „რიგითი მეზმარი ალექსი ბოგდანოვი — ოთხ წელიწადს ომობდა, ოთხი მედალი დაიმსახურა. ომში რომ წავიდა, თერთმეტი შვილი დატოვა. რომ დაბრუნდა, აღარც ერთი აღარ დახვდა: ფრონტზე დაიღუპნენ ან შიმშილით დაიხოცნენ“.

ყოველ ფოტოსურათს ავტორთან ერთად თანაავტორებიც ჰყავს. ეს, რა თქმა უნდა, ამ სურათზე აღბეჭდილი ადამიანები არიან. თანაც ისინი, ვისაც მიჰყავდა მათთან იური როსტი—მისი მეგობრები. შემძლია გაგაცნოთ ქართული ციკლის ყველა თანაავტორი — იური როსტის ქართველი მეგობრები. წაიყვანეს, გაიცნეს, უჩვენეს, აღმოაჩინეს. მოგეხსენებათ, ყველა სტუმარს როდი უჩვენებ და დაანახვებ ყველაზე ძვირფასს, ყველაზე მშობლიურს. იგი ერთი იმათთაგანია, ვისაც გჯერა, როცა გულს გადაუხსნი. გრძნობ, რომ ყოველივე შენეული მისთვისაც ძვირფასია. ამიტომაც არის, რომ მის ქართული თემის ნამუშევრებში ვერ ნახავთ ეგზოტიკის პეწს. ეს სულაც არ არის ტურისტის მიერ თვალმოკრული საქართველო, ეს არის მზერა, რომელიც ღრმად სწვდება მის სულს, ამაყსა და ამითილს, ძლიერსა და ნაზს.

სახალხო მხატვრის მარიამ პრიმაჩენკოსადმი მიძღვნილ ნოველაში ი. როსტი წერდა: „...ჩვენ სულ გზაში ვართ, დავფრინავთ, დავდივართ, დავრბივართ. გარშემო ყველაფერი ერთმანეთს მისდევს და ტრწყმის. მაინც რა ინტენსიურად ვცხოვრობთ ამ გზაში! ღმერთო, რაოდენ საინტერესოა: იქაც ვიყავი, იქაც, ეს და ეს ვნახე! მათ კი ყველაფერი ძველებურად აქვთ. მოჰყავდათ პური და ზრდიდნენ ბავშვებს. ხატავდნენ. ახალი ჭა გაუთხრიათ. ეუყურებ ამ ჭას, შვილშვილებს, სურათებს, და ხედები, რომ გზაში ისინი ყოფილან... მათ რომ ჯეჯილი ახარეს, სურათი შექმნეს — ეს საქმეა შენ კი რა, შენ საქმეები გაქვს...“

ვკითხულობ ამ ჟურნალისტურ აღსარებას და ვფიქრობ, რომ იური როსტმა მისით გამოხატა ყველა დაფიქრებული ადამიანის ნატვრა — მთლიანობის ნატვრა, ერთი დიდი ყოველისშთანთქმელი საქმის მონატვრა.

იგი მთლიანობას ეძებდა და პოულობდა ადამიანებში, რომლებსაც ასახავდა და, როცა თავს შეადარიდა — წუხდა: ისე, არ ვცხოვრობო! მაგრამ აი, დროებამში დაფანტული, გაზეთებში გაბნეული მყისიერი ფოტოსურათები ერთმანეთს შეხვდნენ ერთ ჭერქვეშ და ერთ დიდ, შესანიშნავ საქმედ შეიკრნენ.

ვფიქრობ, ეს ჯილდოა ნებისმიერი პროფესიონალისათვის, იქნება ეს ჟურნალისტი თუ ინჟინერი, ჯილდოა შეუპოვრობის, საქმისა და ადამიანთა ერთგულებისათვის.

88 ფოტოსურათი — ამდენივე პორტრეტი და ბედია წარმოდგენილი გამოფენაზე, რომელიც 15 ნოემბრამდე გასტანს.

თ. მამალაძე,
(საქინფორმი).

სურათზე: ქალი მუზეუმში. ი. როსტის ფოტო.

ახალი ლექსები

კალე გიგოხიძე

ენგურჰესთან

რა ძალა აქვს ენგურჰესის კაშხალს!
შეუშფოთა კავკასიონს კლდე-კარი...
და ჯვარზენთან ვხედავთ ენგურს დამშრალს,
არ ბობოქრობს წყალი დაუდეგარი...
მაღლა ეღავს საგუბარი მდინარის,
რკინა-ბეტონს შეუბოჭავს იგი;
და ვარსკლავთა გუნდი შუქთამფინარი
საქართველოს უწნავს ძლევის გვირგვინს.
საგუბრიდან მოჩქეფს მცირე ჩანჩქერი,
დაღმართისკენ წყალი მილებს მიჰყვება.
და მიდამოს შეუცვლია აქ ფერი,
დრო ნარსული გმირთა ზღაპარს მიყვება...
მკვეთრად ისმის დამკვრელ ჯგუფის ყიჟინა,
ეს გმირული კომკავშირის რაზმია;
ამ ბრიგადამ თავი გამოიჩინა
და კაშხალი უფრო მაღლა ასწია...
ჟრიამული ისმის მრავალ ენაზე,
ამ ადგილას ძმადნაფიცთა ჰესია,
და ეგ მრომაც — აგებული რწმენაზე —
თაობათა გამარჯვების თესლია...
სივრცეს ჰკვეთენ მავთულების ქსელები,
თეთრი ქედიც აქ მოსულებს გვიცინის;
გულს გვინათებს სხივთა ცისარტყელებით
ენგურჰესის ელნათურთა ციმციმი...

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

თბილისს მობრძანდა რთველი

დედათბილისში მოდის ქართული რთველი,
მთელი
თავისი დიდებულებით მოდის,
მევენახეთა შრომის დიდ დღეთა მთვლელი
მოდის და მოაქვს ელვა ბაჯაღლოს ზოდის.
სიტყვავ,
მამულის ზვრებში იარე, გასწი,
ამ დიდრთვლობასაც ნუ დაურჩები ვალში!
ფილარმონიის მზიურ სასახლის გასწვრივ
მოედანზე ვარ
და... დავბიჯდებ ზვარში.
მზეს დაუსველდა ფეხი ბადაგის ღვარში,
ცვარში
ბანაობს მზეს ასხლეტილი სხივი,
რთველს ბედლის სუნთქვა გამოჰყოლია კვალში
და ვერის წყალზე ივრის ხოხობი ყივის.
ღია მარანში
ძლივს სუნთქავს სანნახელი,
დედაქალაქი სინჯავს ბადაგის გემოს.
თქვენ დაგელოცოთ ეგ მადლიანი ხელი,
გარეჯელებო,
სახლიკაცებო ჩემო!
მოგიბანიათ
მადლი მკლავის და აზრის,
უხვი ბარაქა და გულის სითბოც უხვი,
მოგიყვანიათ
მორცხვ პატარძლებად ვაზნი.
უბესავსენი მზისა და მინის შუქით.
ვაზის სურნელი ბრუნავს ზემოთ და ქვემოთ.
ასე ძვირფასი,
ასე თბილიც და ტკბილიც.
თქვენ დაილოცეთ,
გარეჯელებო ჩემო, —
ე რა ლამაზი რთველი მოჰგვარეთ თბილისს!
ალაპარაკდა სველი ხელადის ყელი,
ცხელი
თონიდან ამოდის დედას პური.
— მრავალჟამიერ! —
გარეკახეთი მღერის.
— შენ ხარ ვენახი!
მღერის თბილისის გული.
— მრავალჟამიერ!
მღერის კახეთი მთელი,
ჩემი
სრულიად
საქართველო
მღერის!
ზღვებად დამდგარა ტკბილი ბადაგის ჩქერი,
მაჭრის ჩინჩხლები
მზის ფეროვნებას ღვრიან.
არა,
შემთხვევით არა ყღერს სიტყვა „რთველი“
სიტყვაში, რაიც
ჩემს ეროვნებას ჰქვია!

ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐᲜᲘ

მეცნიერება ადამიანს ემსახურება

ᲰᲘᲞᲝᲙᲠᲐᲢᲔᲡ დროიდან 200-ზე მეტი თეორია შეიქმნა დაბერების, მაგრამ მეცნიერები მხოლოდ ახლა უახლოვდებიან დაბერების მექანიზმის საიდუმლოებათა ამოცნობას, სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემის გადაწყვეტას.

ჩვენს ქვეყანაში არის მთელი „დღეგრძელობის ზონები“, სადაც ხშირად შეხვდებით 100 წლისა და მეტი ხნის ადამიანს. ამ რამოდენიმე ხნის წინათ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კიევის გერონტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა 40 000 დღეგრძელი გამოიკვლიეს. მათ საინტერესო დასკვნები გამოიტანეს: დღეგრძელნი, ჩვეულებრივ, სოფლად ცხოვრობენ, ოჯახისა და პროფესიის ერთგულნი არიან, თამბაქოსა და სასმელს არ ეტანებიან, მაგრამ ვეგეტარიანელი მათ შორის სულ... 8,4 პროცენტი აღმოჩნდა.

მაგრამ დღეს, — ამბობენ ინსტიტუტის სპეციალისტები, — ჩვენ უკვე ნაკლებად გვაინტერესებენ ასი წლის ადამიანები, რადგან დადგინდა, რომ 50-60 წელი გარდატეხის პერიოდია, როცა ადამიანის ორგანიზმში ძირეული ცვლილებები ხდება.

ინსტიტუტში მიმდინარე კვლევის მიზანია ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება, მაგრამ რა შედეგი მოჰყვება **მას?** ზოგიერთი დასავლელი მეცნიერის აზრით, ეს მხოლოდ გაზრდის ადამიანის ტანჯვას, რადგან გახანგრძლივდება მოხუცებულობის, უძლურობის პერიოდი.

— საბჭოთა გერონტოლოგია, — ამბობს ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ჩებოტარიოვი, — სავსებით რეალურ მიზანს ისახავს: გაახანგრძლივოს ადამიანის აქტიური სიცოცხლე.

მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამ მიზანს? ამაზე ერთმნიშვნელიანი პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს.

თუ დაბერება გენეტიკურ პროგრამასთან არის დაკავშირებული, ზომ არ შეიძლება, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენა მოვახდინოთ ბიოლოგიური პროცესების დაყოვნების გზით?

— ჩვენ ცხოველებზე გამოვცადეთ ცილის ზოგიერთი ინგიბიტორი, ანუ ნივთიერებანი, რომლებიც ორგანიზმში მიმდინარე არასასურველი რეაქციების მუხრუჭის როლს ასრულებენ, — გვითხრა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ინსტიტუტის საექსპერიმენტო განყოფილების ხელმძღვანელმა ვლადიმერ ფროლკისმა. — ამან საშუალება მოგვცა 30 პროცენტით გაგვეხანგრძლივებინა სიცოცხლის ვადა. დღეს ჩვენ უკვე საკმაოდ ბევრი რამ ვიცით დაბერების მექანიზმის შესახებ იმისათვის, რომ გადავწყვეტოთ, თუ ორგანიზმის რომელ „ბლოკებზე“ უნდა მოვახდინოთ ზემოქმედება.

მაგრამ, სანამ კლინიკურ პრაქტიკაში დავნერგავდეთ ნივთიერებებს, რომლებიც ცხოველებზე გამოვცადეთ, საჭიროა ჯანმრთელ ადამიანებზე გამოცდის ხანგრძლივი პერიოდი. ეს კი არც ისე იოლი საქმეა. შედეგების შემოწმება ხომ პრაქტიკულად მხოლოდ რამდენიმეთეული წლის შემდეგ შეიძლება.

ინსტიტუტში ასეთი ცდა ჩაატარეს. ცხოველების სამი ჯგუფი მოათავსეს სპეციალურ „ნაკრძალებში“. ერთი ჯგუფისათვის ხელოვნურად შექმნეს სიცოცხლის იდეალური პირობები, მეორისათვის — ზომიერი სტრესული სიტუაციები, მესამისათვის — სტრესული სიტუაციები უკიდურესობამდე იყო გაზრდილი. თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე ჯგუფის ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ყველაზე დიდი აღმოჩნდა.

ხარკოველმა მეცნიერმა ვლადიმერ ნიკიტინმა დაამტკიცა, რომ რაოდენობრივად არასაკმარისი და თვისებრივად სრულფასოვანი კვება სიცოცხლის გახანგრძლივების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. გარკვეულ როლს ასრულებს ჰიპოდინამიასთან — უმოძრაობასთან ბრძოლა. მაგრამ ძირითადი ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება მალე ამოვხსნათ დღეგრძელობის გენეტიკური კოდი.

გერონტოლოგიის ინსტიტუტში შემუშავებულია დაბერების ადაპტაციურ-რეგულატორული ჰიპოთეზა. იგი დაკავშირებულია შეხედულებასთან, რომ დაბერების დროს პირველად ცვლილებანი სარეგულატორო გენებში ჩნდება. როგორც ცნობილია, არსებობს ორი სახეობის გენები — სტრუქტურული (მათში ჩაწერილია ცილების აგებულების კოდი) და სარეგულატორო (თავისებური „ჩამრთველები“, რომლებიც ჩართავენ ან არ ჩართავენ დნმ-ს ინფორმაციის წაკითხვას). კეთილი მეცნიერების ვარაუდით, დაბერების დროს შეიძლება ჩაირთოს გენი, რომელიც მანამდე „არ მუშაობდა“. ამ გენის პოვნა და მასზე ზემოქმედების მოხდენა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

დაბერების ადაპტაციურ-რეგულატორულ ჰიპოთეზას დაბერება ორგანიზმის ინვოლუციად, ესე იგი ორგანოებისა და ქსოვილების ატროფიად არ მიაჩნია. ეს არის შინაგანად წინააღმდეგობრივი პროცესი, რომლის დროსაც დეგრადაციის, მისუსტების მოვლენებთან ერთად დიდმნიშვნელოვანი შეგუებითი მექანიზმებიც წარმოშობა. მაგალითად, კვეითდება ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციები, მაგრამ ამასთანავე მატულობს ქსოვილებისა და ჰორმონების მგრძნობიარობა. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ხატოვნად რომ ვთქვათ, მოხუცებულობის ყმის ჩვენ რაღაცას ჯარგავთ, მაგრამ რაღაცას ვიძენთ ჯიდეც. მეცნიერთა ამოცანა ის არის, რომ მინიმალურად შეამციროონ ეს დანაკარგები.

ჩვენს ქვეყანაში მიღებულია სახელმწიფო კომპლექსური სამეცნიერო პროგრამა „დაბერების მექანიზმები, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის გზებისა და საშუალებების შემუშავება“, რომელიც გათვალისწინებულია 1978-1990 წლებისათვის. მის განხორციელებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ბევრი ინსტიტუტი და უნივერსიტეტების სამეცნიერო ცენტრები. მეცნიერები შეიმუშავებენ რეკომენდაციათა ფართო სპექტრს, აგრეთვე შექმნიან ანტიოქსიდანტებს, კომპლექსონებს, ჰორმონულ პრეპარატებს და სხვა ფარმაკოლოგიურ საშუალებებს.

— ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ, — თქვა აკადემიკოსმა ჩებოტარიოვმა, — ჩვენ ვერ შეეძლებოდით ასეთი პროგრამის დასახვას. იგი ემყარება წარმატებებს, რომლებიც უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე მოვიპოვეთ დაბერების მექანიზმის შესწავლის საქმეში, აგრეთვე სიცოცხლის გახანგრძლივების წმინდა ექსპერიმენტის დარგში.

ᲘᲒᲝᲠ ᲖᲐᲡᲚᲔᲓᲐ,
ახალი ამბების საააგენტოს კორესპონდენტი.

Ა. ᲧᲐᲯᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1917 წლიდან არსენ ფილიპეს ძე **ყაჯეიშვილი.**

ა. ყაჯეიშვილი დაიბადა 1900 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ამაღლებაში. ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამეშაოდ წავიდა ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში. აქ იგი დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ ამხანაგებს და სავსებით შეგნებულად დადგა ბოლშევიკების მხარეზე. ა. ყაჯეიშვილი 1919 წლის შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილეა, იყო წითელი პარტიზანელი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. ყაჯეიშვილი მუშაობდა მილიციის ორგანოებში, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ჩაის კონტორის დირექტორად, ადგილობრივი მრეწველობის მმართველად და სხვა. მას დამთავრებული ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ერთწლიანი პარტიული სკოლა.

წლების მანძილზე ა. ყაჯეიშვილი საოჯახეში ედგა ძველ ბოლშევიკთა რაიონულ საბჭოს, დაჯილდოებული იყო სპატიო ნიშნის ორდენით, მედლებით და სხვ.

ერთგული ბოლშევიკის ა. ყაჯეიშვილის ხსოვნა მ